

## ვახტანგ მალრაძე

### რატომ ვაღარიბებთ ენას?

ენა ცოცხალი ორგანიზმია: სიტყვები ჩნდება, ძველდება, უჩინარდება, ზოგჯერ მნიშვნელობას ივიწროებს ან იფართოებს, ზოგჯერ კი სრულიად ახალ შინაარსს იძენს.

ზედსართავმა სახელებმა **მაგარი** და ზმნურმა ფორმამ **გააკეთა** ამ ბოლო დროს შესამჩნევად გაიფართოვა გამოყენების არე. ამის გამო ზოგ, მეტისმეტად გავრცელებულ, შესიტყვებაში იგი ერთგვარ ლექსიკურ შტამპადაც კი იქცა – დაკარგა თავისი ძირითადი დანიშნულება და გაუფერულდა ადრინდელი შინაარსი. ამას მოჰყვა ის, რომ ხშირად ის ისეთ სინტაგმებშიც მოხვდა, სადაც მისი არსებობა ყოვლად მიუღებელია. სიტყვების ამგვარი „გადატვირთვა“, ზედმეტი მნიშვნელობების შემენა-დაკისრება კი გაუმართლებლად გვეჩვენება.

#### ა) მაგარი

როგორც აღვნიშნეთ, სავსებით ბუნებრივია ის, რომ გარკვეული სიტყვები დროთა განმავლობაში იცვლიან – იფართოებენ მნიშვნელობას და ზოგჯერ ენაში მიუღებელ შესიტყვებებს ქმნიან, თითქოს იძენენ ახალ შინაარსს და რეალურად კი სხვა სიტყვების შევიწროების, გამოდევნის, დაკარგვის ხარჯზე ენას აღარიბებენ.

ჯერ გავიხსენოთ, თუ რას შეესატყვისება, რის სინონიმად გამოიყენება სიტყვა მაგარი; მაგრად:

1. ძნელად გასატეხი, ძნელად დასანგრევი, მყარი, მკვრივი; მტკიცე; გამძლე: მაგარი ნაჭუჭი, მაგარი გალავანი, 2. ძლიერი, ღონიერი: მაგარი ბიჭია, მაგარი მკლავი აქვს. 3. ბევრი სპირტის შემცველი (სასმელი): მაგარი ღვინო, მაგარი არაყი. **მაგრად** – ძლიერად, ღონიერად, მტკიცედ: მტერს მაგრად დაუხვდნენ.

გადატანითი მნიშვნელობითაა გამოყენებული: მაგარი გული აქვს – გულადია, უშიშარია. მაგარი ვაგონი – რკინიგზის სამგზავრო ვაგონი, რომელშიც დასაჯდომი (დასაწოლი) ადგილები ხისაა. მაგარი ზურგი აქვს – ძლიერი, გავლენიანი მფარველი ჰყავს. მაგარი ძილი – ღრმა ძილი [ქეგლი 1986].

მართებულია მაგარი ღვინო, მაგარი არაყი, მაგარი ყავა, მაგარი ბულიონი.

დღევანდელ ლიტერატურასა და პრესის ფურცლებზე სიტყვა **მაგარი** ბევრ შესიტყვებაში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. რა თქმა უნდა, საუბარია უმართებულო სიტყვათშეხამებაზე, გაუმართლებელ სინტაგმებზე. მაგალითად,

„**მაგარი** საქმე კია, მე და ჩემმა ღმერთმა“ (ზურგბანი, თარგმ., 2010);

„მსოფლიოს საუკეთესო ათეულში თუ მოვხვდი, მაშინ ვიტყვი, **მაგარი** ვარ-მეთქი“ („თბილისელები“, N32, 2015);

„...ვგრძნობდი, რომ **მაგარი** მუსიკოსები იყვნენ“ (იქვე, N45, 2015); „პატარა სივრცის მიუხედავად, ძალიან **მაგარი** იყო!“ („გზა“, N17, 2014);

„...მასწავლებლები ყოველი სერიის შემდეგ მეუბნებიან, რომ **მაგარი** ვიყავი“ („სარკე“, N57, 2011);

„...ეს არ იქნება დამღლეი სამუშაო. რა **მაგარი** იქნება!“ (იქვე, N31, 2011);

„ძალიან **მაგარი** პერიოდი იყო“ (იქვე, N51, 2011);

„იცით... **მაგარი** რა არის? ...დიასახლისი წიწილას რომ დაგიკლავს და შენ თვალწინ გაპუტავს...“ (იქვე, N38, 2011);

„წარმოდგინეთ, ოქროს რომ დაგიდებენ წინ, რა **მაგარი** იქნებოდა“ (იქვე, N31, 2011).

ყველა შემთხვევაში ზედსართავი **კარგი** სავსებით გამოხატავდა კონტექსტის შინაარსს, შესაბამისად: *კარგი საქმე, კარგი მუსიკოსები, კარგი მსახიობი, კარგი ვარ, კარგი ვიყავი, კარგი იყო, კარგი იქნება, კარგი პერიოდი, კარგი იქნებოდა.*

„- წარმოდგენია, თქვენს ოჯახში ქეიფი რა **მაგარი** იქნება“ („თბილისელები“, N5, 2014);

„...შეყვარებულებმა... კერძო ბინაში **მაგარი** წვეულება მოაწყვეს...“ („სარკე“, N2, 2010)...

ორივე შემთხვევაში ბუნებრივად გამოსაყენებელი სიტყვები იყო: *კარგი, ლალი, სასიამოვნო...*

„ყველასათვის შესაშური და ყველაზე **მაგარი** ბავშვობა მქონდა...“ („სარკე“, N31, 2011).

აღნიშნულ წინადადებაში მართებული იქნებოდა გამოყენება სიტყვებისა: *ღალი, დაუვიწყარი, დასამახსოვრებელი, კარგი, საინტერესო* (ბავშვობა).

„ძალიან **მაგარ** ეტაპზეა [ურთიერთობა]“ („სარკე“, N38, 2015).

ურთიერთობა შეიძლება იყოს: კარგ, საინტერესო, მნიშვნელოვან ეტაპზე.

„ჩემთვის ყველაზე **მაგარი** საქმე ისა, რომ ჩვენი პატრიარქის ნებართვით ბიბლია ჩავწერეთ“ (იქვე, N9, 2015)...

მართებული იქნებოდა გამოყენება სიტყვებისა: *საყურადღებო, საინტერესო, მნიშვნელოვანი, სასიამოვნო, კარგი* (საქმე ისაა, რომ...).

„ამ ბოლო დროს ნახატებიც **მაგარი** გამოსდის“ („სარკე“, N11, 2015);

„ახლახან ძალიან **მაგარი** სურათი მაჩუქა“ (იქვე, N14, 2015).

მაგარს აქ უნდა ჩანაცვლებოდა *კარგი, დიდებული, შესანიშნავი...*

„– სამი შვილის მამობა როგორი შეგრძნებაა? – ძალიან **მაგარი**.“ („თბილისელები“, N23, 2012).

ამ მაგალითში უფრო ფართო არჩევანის საშუალება გვაქვს: მამობა ძალიან *კარგი, შესანიშნავი, არაჩვეულებრივი* გრძნობაა.

„...**მაგარი** სამზარეულო აქვთ“ („სარკე“, N15, 2011);

„ყველაზე **მაგარი** და გემრიელი იტალიური **რესტორნები**... მათ მასწავლეს“ (იქვე, N31, 2017).

სამზარეულოსა და რესტორნის შესახებაც შეგვეძლო რამდენიმე სინონიმური გამოთქმა გამოგვეყენებინა: *კარგი, გემრიელი, მრავალფეროვანი, შესანიშნავი, არაჩვეულებრივი*.

„– რა ყრია კლასიკაში? თუ ძალიან **მაგარი** არ ხარ, დაბერდები საორკესტრო ორმოში“ (ბურჭულაძე, 2011).

მუსიკოსის შესახებ უნდა თქმულიყო: *კარგი, ძლიერი, რჩეული, გამორჩეული, ნიჭიერი...*

„...ძალიან **მაგარი** ადამიანი იყო...“ („სარკე“, N31, 2011).

ადამიანის შესახებ შეგვეძლო გვეთქვა: *კარგი, ძლიერი, კეთილშობილი, საინტერესო, ერთგული, გულისხმიერი, მიმნდობი...*

„ბიჭები მწერდნენ, რა **მაგარი** გოგო ხარ... აეროპორტში დაგხვდებით“ („თბილისელები“, N32, 2015);

„...თმის საბნევი რომ გეკეთა, **მაგარი** გოგო იყავი...“ („სარკე“, N31, 2011);

„ძალიან **მაგარი** გოგოები არიან“ (იქვე, N11. 2012);

„...ყველაზე **მაგარი** გოგო იყავი...“ (იქვე, N3, 2011);

„შეიძლება გარეგნობით ძალიან **მაგარი** გოგო იყოს, მაგრამ... უინტერესო“ (იქვე, N52, 2011).

გოგონას შესახებ საუბრისას **მაგარს** ბევრი ქართული სიტყვა უფრო კარგად, ბუნებრივად შეეხამებოდა: *ლამაზი, ემზიანი, მომხიბლავი, მიმზიდველი, მშვენიერი, საყვარელი, კობტა...*

„ოჰ, რა **კარგი** ქალია!“ („სარკე“, N25. 2015).

*კარგი* განა **მაგარზე** უკეთ არ გამოხატავს ქალისადმი დამოკიდებულებას, თუ **მაგარი** უფრო დიდ ემოციასა და აზრის სიციხადეს ასახავს?!

„ძალიან საყვარელი, უაღრესად **მაგარი** იუმორით აღსავსე გახლდათ“ („სარკე“, N15. 2015).

იუმორი შეიძლება იყოს *განუმეორებელი, შეუდარებელი, შეგარული, კარგი...*

„...დაგვსვამდა ხოლმე ჩვენ, თავისი მეგობრების შვილებს და გვიყვებოდა, როგორი **მაგარი** იყო საქართველო...“ („თბილისელები“, N43, 2012);

„ჩემი მეგობრები იყვნენ: მერაბ ნინიძე, ნანუკა ხუსკივაძე, ლევან წულაძე... ძალიან **მაგარი** ჯგუფი გვქონდა...“ (იქვე, N33, 2008);

„ძალიან **მაგარ** გუნდთან ერთად ვმუშაობ და ჩემს საქმეს ვაკეთებ“ („სარკე“, N11. 2015);

„...შეუძლია **მაგარი** ჯანმრთელობით... იამაყონ...“ (იქვე, N1, 2010)...

თითოეულ შემთხვევაში **მაგარს ძლიერი** უნდა ჩანაცვლებოდა. ბოლო მაგალითში კი *მტკიცე* შეიძლება გამოგვეყენებინა.

„ძალიან **მაგარი** კაცია – „სუპერი“ („თბილისელები“, N25, 2011);

„ძალიან **მაგარი** ადამიანი იყო“ (ჟურნ. „სარკე“, N11, 2012)...

აქ მართებული იყო გამოყენებინათ: *ძლიერი, კეთილი, არაჩვეულებრივი, ყოვლისშემძლე, ხელგამომავალი...*

„...თავად აღიარა, რომ ნარკომანი იყო. ძალიან **მაგარი** ბიჭი იყო და იმიტომ აღიარა“ („სარკე“, N15, 2015).

აღნიშნულ შემთხვევაში **მაგარს** შეიძლებოდა ჩანაცვლებოდა უფრო ბუნებრივი სიტყვები და შესიტყვებები: *ძლიერი, შეუპოვარი, ნებისყოფიანი, მტკიცე ხასიათის...*

შემდეგ შემთხვევებში მაგარი აღმატებით ხარისხშია:

„სოფელს არ დავასახელებ, მაგრამ **უმაგრესი** სოფელია ქართლში“ („გზა“, N52, 2013);

„იტალიელ გოგოს დავუმეგობრდი... ტყუპისცალი და ჰყავს. ეს გოგონები **უმაგრესი** ოჯახიდან არიან“ („სარკე, N31, 2017);

„...დედაჩემი კულინარიაში **უმაგრესია**“ („სარკე“, N9, 2015)...

პირველ წინადადებაში, ვრცელი კონტექსტის მიხედვით, უნდა ყოფილიყო: *სოფელი უმშვენიერესია; მეორეში – ოჯახი უსაყვარლესი, არაჩვეულებრივი, გულისხმიერი, მეგობრული, შეუდარებელი, უძლიერესი, განუმეორებელია; მესამეში კი – შედგენილი შემასმენელია გამოყენებული და მას თავისუფლად ჩაენაცვლებოდა: არაჩვეულებრივი, განუმეორებელი, გურმანი, ხელმარჯვე, ხელგამომავალი...*

„...**ძალიან მაგარი** მდიდარი უნდა ყოფილიყავი, რომ ეს აპარატი გეყიდა...“ („ფენომენი“, N6, 2014).

აქ სრულიად ზედმეტია ზედასრთავი სახელი. ზმნიზედა *ძალიან* ემოციის გასამლიერებლად სავსებით საკმარისი იყო.

შემდეგ მაგალითებში **მაგარი** უკვე შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილადაა წარმოდგენილი:

„იქ ზღვის სეზონი ნოემბერში იწყება და ძალიან **მაგარია**“ („გზა“, N52, 2013);

„მთელი დღე „დაცკატაობ“ და ძალიან **მაგარია...**“ („სარკე“, N11, 2015);

„ყველა თაობის მსმენელს უყვარხართ. – რა **მაგარია!** ამაზე არასოდეს ვფიქრობ...“ (იქვე, N9, 2012);

„ლუდი და მარილი **მაგარია**“ (იქვე, N31, 2011, 34.3)...

ჩამოთვლილ შემთხვევებში უნდა ყოფილიყო: *კარგია*.

„...ვის დავუძახო: ჩემო ცხოვრება, მიყვარხარ **მაგრად**“ („გზა“, N22, 2014);

„[გორგოლაჭები] ჩემი რომ მქონდეს, **მაგრად** ვისწავლიდი“ („სარკე“, N39, 2012);

„**მაგრად** მაინტერესებს, ცხოვრების რა ეტაპზე დაამტკიცეს პატიოსნება...“ (იქვე, N34, 2012);

„გინდოდა ამ სერიალში თამაში? – **მაგრად** მინდოდა, მანამდე ყოველთვის ვუყურებდი...“ (იქვე, N51, 2011);

„სხვათა შორის, ძალიან **მაგრად** ვხატავ“ (იქვე, N31, 2017)...

ყველა შემთხვევაში ავტორებს უნდა გამოეყენებინათ ზმნიზე-და *კარგად*.

„...ძალიან ცელქი ვიყავი, მაგრამ ამავე დროს ძალიან **მაგრად** ვსწავლობდი“ („სარკე“, N31, 2011)...

აღნიშნულ წინადადებაში, გარდა *კარგად* სიტყვისა, შეიძლება ბოლდა ყოფილიყო *წარჩინებულად*.

„ნახევარფინალზე კი **მაგრად** გაიხსნენ...“ („თბილისელები“, N20, 2012).

მართებული ქართულით იქნებოდა: *სრულად, მთლიანად, ბოლომდე* გაიხსნენ გუნდები (მსჯელობის სხვა საკითხია – ნახევარფინალზე თუ ნახევარფინალში).

ყველა განხილული მაგალითი დატვირთულია მხოლოდ დადებითი შინაარსით, თუმცა გამორიცხული არაა, რომ სიტყვა **მაგარმა** კიდევ უფრო **გაიმაგროს** პოზიციები და უარყოფითი სემანტიკითაც დაიმკვიდროს ადგილი. მაგალითად,

„ეს ადამიანი აგრესიულია. **მაგარი** ცუდი კაცია“ („სარკე“, N40, 2016).

ჩამოთვლილი სიტყვები ზემოთ მითითებულ მაგალითებში წარმატებით ანაცვლებს უადგილოდ გამოყენებულ სიტყვას **მაგარი**: *არაჩვეულებრივი, გამორჩეული, განუმეორებელი, გემრიელი, გუ-*

ლისხმიერი, დიდებული, ერთგული, ეშხიანი, კარგი, კარგად, კეთილი, კეთილშობილი, კოხტა, ლამაზი, ლაღი, მთლიანად, მიმზიდველი, მიმნდობი, მომხიბლავი, მრავალფეროვანი, მტკიცე, მშვენიერი, ნებისყოფიანი, ნიჭიერი, რჩეული, საინტერესო, სასიამოვნო, საყვარელი, სრულად, უძლიერესი, ყოვლისშემძლე, შესანიშნავი, შეუდარებელი, შეუპოვარი, შეფარული, ძლიერი, წარჩინებულად, ხელგამომავალი...

როგორც არაერთი ილუსტრაცია გვარწმუნებს, **მაგარმა** ბევრი მშვენიერი სიტყვა უმიზეზოდ გამოაძევა ბუნებრივი შესიტყვებებიდან და სათავე დაუდო ენის გაღარიბებას, გამარტივებას.

## ბ) გაკეთება

საუბარი შეეხება **გაკეთა** ზმნის უმარტებულო გამოყენების შემთხვევებს. ეს სიტყვა გვხვდება როგორც ზმნის, ასევე მიმღეობის, ზმნისწინიანი თუ უზმნისწინო ფორმებით...

**გაკეთა** ზმნის ყველაზე გავრცელებული მნიშვნელობაა რისამე შექმნა.

მართალია, ამ ზმნის გამოყენების უმარტებულო შემთხვევები გახშირებულია, მაგრამ, რა თქმა უნდა, გვხვდება მისი სწორად გამოყენების მაგალითებიც:

„ყველა თავის **საქმეს აკეთებენ**“\* („ცხოვრების წიგნი“, 1993);

„როცა **რამეს ვაკეთებ**, იმით ვამაყობ...“ („თბილისელები“, N25. 2011);

„...სტიმულს მამლევს, რომ ჩემი **საქმე ვაკეთო**...“ („სარკე“, N45. 20140);

„საერთოდ არ „ტეხავს“, ქალმა **საჭმელების კეთება** თუ იცის...“ („სარკე“, N37. 2015)...

ეს ზმნა ასევე მრავალ სახელთან გამოიყენება შესიტყვებებში: **ბუხრის გაკეთება, სადილის გაკეთება, ბუდის გაკეთება...**

**გაკეთებს** ზმნას დროთა განმავლობაში იმდენად „გაუფართოვდა“ მნიშვნელობა, რომ გარდა კონკრეტული საგნების აღმნიშვნელი სახელებისა, დაუკავშირდა აბსტრაქტულ სახელებსაც და მას არასწორ სტილისტურ სინტაგმებშიც იყენებენ. მაგალითად,

---

\* უნდა იყოს: ყველა თავის **საქმეს აკეთებს**.

„თუნდაც ის აიღეთ, **დემონსტრაციის გაკეთებას** აპირებდნენ...“ („სარკე“, N30. 2009);

„მოგვიანებით ჯაკომოც არაერთხელ **უკეთებდა დემონსტრირებას** თავის მაგიურ შესაძლებლობებს“ (იქვე, N19. 2015);

„გვინდა **ფესტივალი გაგაკეთოთ...**“ (იქვე, N36. 2017);

„...რაიმე სერიოზული საპროტესტო **აქცია** რომ **გაგვეკეთებინა...** ახალი მემარჯვენეები წინააღმდეგნი იყვნენ“ (იქვე, N33. 2011);

„გავიგე, რომ ახალი ავტომობილი ჩამოუვიდა გასაყიდად და დაველოდე, სანამ **რეალიზაციას გაუკეთებდნენ**“ („თბილისელები“, N11. 2011).

პირველ სამ შემთხვევაში გამართული ქართული იქნებოდა თუ ვიტყვით: დემონსტრაციის, ფესტივალის, აქციის *მოწყობა, გამართვა*. ხოლო მესამე შემთხვევაში სულაც არ იყო საჭირო ამგვარად გადმოცემა, შეიძლება გამოეყენებინათ: *სანამ გაყიდდნენ*\*. ტენდენცია, ჩვენი აზრით, საერთაშორისო სიტყვების შეთვისებას უკავშირდება გარკვეულწილად, თუმცა მას ქართულ სიტყვებთანაც შეუზღუდავად აწყვილებენ:

„სამი კვირის შემდეგ ... პირველი **ჩვენება გაგაკეთე**“ („თბილისელები“, N32. 2014);

„– არ მინდა... პირველი **ჩვენება...** თბილისში **გაგაკეთო**“ („სარკე“, N31. 2017);

„აქედან კაპრიზე გვინდა წასვლა. იქ **ჩვენებების გაკეთება** ძალიან უყვართ“ (იქვე, N31. 2017);

„როცა მოდის **კვირეულების კეთება** დაიწყო... სულ გვერდით ვედექი“ (იქვე, N27. 2015);

ახალი **კოლექციის კეთებას** ძალიან დიდი დრო მიაქვს“ (იქვე, N27. 2015);

თავის დროზე თეატრალური **კაბეების მოდელირებას აკეთებდა**“ (იქვე, N26. 2017)...

ამ მაგალითებში საუბარი ეხება დიზაინერის მიერ მოწყობილ ჩვენებას, რომელსაც კი არ აკეთებენ, არამედ ჯერ *ამზადებენ*, შემდეგ *მართავენ, აწყობენ*; მოდების ახალ კოლექციას *წარმოადგენენ, უჩვენებენ*.

---

\* ამ საკითხს უფრო ვრცლად შეგიძლიათ გაეცნოთ „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მეშვიდე წიგნში.

მოვიყვანოთ „აკეთებს“ ზმნის უმართებულო გამოყენების სხვა მაგალითებიც:

„– ტელევიზიაში **ვაკეთებდი** მუსიკალურ **გადაცემას** („სარკვე“, N26. 2010);

„**გადაცემის კეთებაში** პრაქტიკულად არ მონაწილეობს“ (იქვე, N14. 2015);

„**გადაცემის კეთების** დროსაც ველავ...“ (იქვე, N31. 2015);

„– როცა „ამზობენ“-ს [**ტელეგადაცემა**] **ვაკეთებდი**, მაშინ ქართულ შოუბიზნესში არაფერი ხდებოდა“ (იქვე, N42. 2014);

„დემნა და გიორგი ძალიან მნიშვნელოვან და მაგარ **პროექტებს აკეთებდნენ**“ (იქვე, N27. 2017);

„რაც **პროექტები** კი **მიკეთებია**, მაგრამ იქაც მუსიკოსის რანგში ვიყავი“ („თბილისელები“, N5. 2014);

„...შეუძლია მთელი ფილარმონია დაიტოს თავის ენერგეტიკულ ორბიტაზე. თავის **შოუს აკეთებს**“ („სარკვე“, N41. 2015);

„...ნიგერიელებთან ერთად საახალწლო **შოუპროგრამას ვაკეთებ**...“ („სარკვე“, N51. 2015)...

ზემოჩამოთვლილი ყველა შემთხვევისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ტელეგადაცემებს, პროექტებს, შოუპროგრამას *ამზადებენ* და არა – **აკეთებენ**.

სტატიის, სიუჟეტის დაწერის ნაცვლად **გაკეთება** არასწორად გამოყენებული ქვემოთ მოყვანილ მაგალითებშიც:

„რთულია, უცხოელ ჟურნალისტებს... კარგი **სტატიები გააკეთებინო**“ („სარკვე“, N27. 2015).

ძალიან ხშირად გვხვდება შესიტყვება „განცხადებას აკეთებს“ (მაგალითებია მოყვანილია ქვემოთ), რომლის ნაცვლადაც უმჯობესი იქნებოდა გამოყენებინა ზმნური ფორმა: განაცხადა, განვაცხადე და ა. შ.

„მოგვიანებით ამერიკაში დაბრუნებულმა რონდმანმა **განცხადება გააკეთა**...“ („თბილისელები“, N5. 2014);

„მომხდარზე იმავე დღეს გაერთიანებული ოპოზიციის საარჩევნო შტაბის უფროსმა ... **გაკეთა განცხადება**“ („სარკვე“, N22. 2008).

რა თქმა უნდა, არაბუნებრივია ქართულისათვის მოთხოვნის, მიმართვის გაკეთება:

„...ის ჰააგას გადასცეს, როგორც 2008 წლის ომის დამნაშავე, თუ ასეთ **მოთხოვნას** ჰააგის პროკურორები **გაკეთებენ**“ („სარკე“, N31. 2017);

„...ვუკარნახოთ, რომ მოიფიქრონ საქართველოს პროკურატურამ და იუსტიციის სამინისტრომ და შესაბამისი **მიმართვები გააკეთონ** ამერიკაში“ (იქვე, N31. 2017).

პრესის ფურცლებზე გამოვლინდა „კონცერტის/სალამოს გაკეთების“ არაერთი შემთხვევა:

„ფილარმონიაში ყოველ წელს **გაკეთებდი კონცერტს**“ („სარკე“, N46. 2014);

„მარინა ბერიძემ ფილარმონიაში **კონცერტის გაკეთება** გადაწყვიტა“ (იქვე, N25. 2010);

„...მაისში სამი **კონცერტი გაგაკეთეთ**“ (იქვე.);

„...15 აგვისტოს ბათუმში **გაკეთებთ კონცერტს**“ (იქვე, N31. 2016);

„...2-3 წელიწადს ასეთ **კონცერტს** ვერც ერთი კომპოზიტორი ვერ **გაკეთებს**“ („სარკე“, N3. 2016);

„საქართველოში **გაკეთებ კონცერტებს...**“ (იქვე, N35. 2015);

„...ძალიან უნდოდა, თავის დაბადების დღეს... **კონცერტი გაეკეთებინა**“ (იქვე, N35. 2015);

„არავის გასჩენია სურვილი, რომ თუნდაც ერთი **სალამო გაგვეკეთებინა**“ (იქვე, N27. 2015);

„2007 წელს მაინც მოვახერხე შემოქმედებითი **სალამოს გაკეთება**“ („სარკე“, N 3. 2016)...

მოყვანილ წინადადებებში მართებული იქნებოდა ყოფილიყო: კონცერტი *გამართა, ჩაატარა, მოაწყო...*

„აკეთებს“ ზმნა საკმაოდ ხშირად გვხვდება მუსიკასთან მიმართებითაც:

„ისინი სხვა **მუსიკას აკეთებენ**, მე – სხვას“ („თბილისელები“, N35. 2014);

„გვინდა, ჩვენი კარიერა თბილისში გავაგრძელოთ და გემოვნებიანი **მუსიკა ვაკეთოთ**“ („სარკე“, N1. 2014);

„...მინდა, **გავაკეთო მუსიკა...**“ (იქვე, N36.2011);

„იყო დრო, როცა გოგა ხაჩიძესაც დასჭირდა **მუსიკის კეთება...**“ (იქვე, N5. 2015);

„3 წლის წინ ბათუმში კლასიკური **მუსიკის გაკეთება** დაიწყო“ (იქვე, N36. 2015);

„ალბათ სხვისი **სიმღერების კეთება** უფრო მიადვილდებოდა“ (იქვე, N7. 2015);

„მევედი, მითხრა, ხელი არ შემეშალო, **სიმღერის მისამღერი უნდა გაგაკეთო**“ (იქვე, N20. 2015);

„მე აზარტი მახსიათებს **სიმღერის კეთების** დროს...“ (იქვე, N26. 2010);

„კარგი მუსიკოსი რომ იყო, ყოველდღიურად უნდა **აკეთებდე მუსიკას**, უნდა მუშაობდე...“ (იქვე, N5. 2015)...

შეუძლებელია მუსიკის, სიმღერის გაკეთება. მუსიკა და სიმღერა ხელოვნებაა, ღვთიურია, რომელიც უნდა *შექმნა, დაწეროს*...

რაც შეეხება **არანაირების კეთებას**, ეს ალბათ, მისაღებია.

„16-17 წლის ასაკში სტუდიაში მუშაობა და **არანაირების კეთება** დავიწყე“ („სარკე“, N7. 2015);

„დავწერე სიმღერა, რომლის **არანაირებაც გაკეთებულა**“ (იქვე, N45. 2016)...

თუმცა მიუღებელია **ფილმის, კინოსურათის კეთება**:

„ტრანტინო ყველა მსახიობს არწმუნებს, რომ მარტო მე ვერ **გაგაკეთებ ფილმს**...“ („სარკე“, N27. 2007);

„ერთი-ორი **სურათი გაკეთებული** მქონდა...“ (იქვე);

„...ეს არის ქვეყანა, რომელიც **კინოს აკეთებს** და აქვს პოტენციალი“ (თბილისელები“, N47. 2013);

„ჩვენ ქართული **კინოს კეთების** დიდი ტრადიცია გვქვს“ („სარკე“, N3. 2015);

„...გაჩნდა მოთხოვნილება... კიდევ ახალი **სერიალის კეთება** დაეწყო“ („თბილისელები“, N49. 2013)...

ფილმს, კინოფილმს, კინოსურათს, სერიალს *ქმნიან, იღებენ*. გაკეთება მუსიკას, სიმღერასა და ფილმს აუფასურებს, ხელოვნება ხელოსნობის დონეზე ჩამოჰყავს:

მსგავსი შეცდომა დაშვებული ქვემოთ მოყვანილ მაგალითებშიც:

„...მას არქიტექტურაზეც ჰქონდა პრეტენზია, **თეატრების** [იგულისხმება სპექტაკლები] **კეთებაც** დაიწყო“ („სარკე“, N41. 2013);

„მე და ჩემმა მეგობრებმა **შექსპირის „შეცდომათა კომედია“ გაგაკეთეთ**“ (იქვე“, N18. 2015);

„– დიახ, ჩვენ **შექსპირს** უსიტყვოდ **ვაკეთებთ**“ („სარკე“, N39. 2016)...

უმართებულოდ მიგვაჩნია როლის გაკეთებაც:

„დარწმუნებული ვარ, ...ეს **როლი** სწორად **გაკეთებული** მგონია“ („რეიტინგი“, N46. 2014);

„ამ **როლის გაკეთებაში** ჩემი ცხოვრების ნაწილი ჩავდე...“ („სარკე“, N3. 2016);

„...ვთვლი, რომ ძალიან ლამაზი და ნიჭიერი ქალია, რომელიც სასწაულ **როლებს აკეთებს**“ (იქვე, N40. 2013).

„გაკეთებული“ როლი დადებითი ემოციის ნაცვლად უარყოფით, უკუშთაბეჭდილებას აღძრავს.

ასევე მიუღებელია სიტყვათშეხამება „ტელეკომპანიის გაკეთება“. გამართული ქართულით უნდა გვქონოდა ტელეკომპანიის შექმნა, ჩამოყალიბება.

„– **ტელეკომპანიის გაკეთება** თქვენს ახლო ან შორეულ მომავალში არ ისახება?“ („სარკე“, N36. 2017).

„გაკეთება“ სიტყვა დადასტურდა პორტრეტთან მიმართებითაც, რაც სრულიად მიუღებელია და ხელოვნების, მხატვრობის, დაკნინება, გაუფასურება.

„გოგი თოთიბამემ... გიგას **პორტრეტზე გააკეთა**“ („სარკე“, N35. 2006);

„...ყველაფერი მარტივად გადაწყდა... ამ **პორტრეტის გაკეთებიდან** მალევე ცოლი შევირთე“ (იქვე, N28. 2012);

„...ერთი ორი **სურათი გაკეთებული** მქონდა...“ (იქვე, N49. 2008)...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისაღებია ნახატის ასლის, რეპროდუქციის **გაკეთება**...

„აკეთებს“ ზმნა შეცდომით გამოიყენება კვლევასთან, ლექციასთან.

„**კვლევას ვაკეთებო**, გვითხრა, დარიგებები მოგვცა“ („სარკე“, N49. 2016);

„...სტუდენტების დახმარებით ენთუზიაზმით **გაკეთებდით** საჯარო **ლექციებს**...“ (იქვე, N48. 2015).

ლექციას *ატარებენ* ან *კითხულობენ*, ხოლო კვლევას კი – *წერენ*, *ატარებენ*, *ამზადებენ*...

არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ სხვათა ენის წამხედურობა და მიმზამველობა არაფერს სძენს ჩვენს ენას და არც ჟურნალისტს მატებს წონას. сделать подарок-ის შესატყვისია ქართულში დამკვიდრებული ტრადიციული მყარი გამოთქმები: *საჩუქრის მირთმევა, საჩუქრის მიძღვნა, საჩუქრის ჩუქება*, რომელთა ნაცვლად ხშირად გამოიყენება **საჩუქრის გაკეთება**:

„...ძალიან მიხარია, რომ ღმერთმა ასეთი **საჩუქარი გამოიკეთა**“ („თბილისელები“, N32. 2015);

„მეუღლემ **საჩუქარი** თუ **გაგიკეთა?**“ („რეიტინგი“, N11. 2008);

„მე კი დედაჩემს **გაფუკეთებ საჩუქარს**. რას გაიხარებს“ („სარკე“, N6. 2015);

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა ასეთი **საჩუქარი გამოიკეთა**“ (იქვე, N1. 2016);

„როცა ადამიანს **საჩუქარს ვუკეთებ**, ეს ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს“ (იქვე, N29. 2017);

„**სიურპრიზებისა და საჩუქრების კეთება** ძალიან უყვარს“ (იქვე, N27. 2015);

„**სიურპრიზების კეთება** ძალიან მიყვარს“ (იქვე); „უცბათ იცის რაღაც **სიურპრიზის გაკეთება**“ (იქვე, N27. 2007)...

„აკეთებს“ ზმნა უმართებულოდ გვხვდება სპორტის სფეროშიც:

„მატჩის პირველ ნახევარში ავსტრიელებმა ტყორცნების 60 პროცენტი გამოიყენეს და ძნელი იყო აქედან **თამაშის გაკეთება**“ („სპორტსიახლენი“, N34. 2007);

„ყოველთვის მზად არის **გადაცემა გაუკეთოს** თანაგუნდელს...“ („სარკე“, N25. 2008);

„...კლოზეს გატანილი გოლის აღნიშვნის საფირმო მეთოდი აქვს – ის **„კულბიტს“ აკეთებს**“ („თბილისელები“, N27. 2014).

**თამაშს აკეთებს, გადაცემას აკეთებს** მიუღებელია. უნდა იყოს: *წარმატებულად თამაშობს; ბურთს, პასს გადასცემს, აწოდებს...*

უნდა აღინიშნოს, რომ „აკეთებს“ შეცდომითაა გამოყენებული ყველა შემდეგ შემთხვევაში:

„**პოლიტიკას** ყველა ერთად **გაკეთებთ** კოალიციაში“ („სარკე“, N44. 2014).

„ატელიეს გაკეთებასაც ხომ არ გეგმავთ?“ („სარკე“, N32. 2015).

„მოიტანე შენი დოკუმენტები, **ასლებს გაგაკეთებ...**“  
(ზურებიანი, 2010).

უნდა იყოს: პოლიტიკას ვკმნით, ატელიეს ვხსნით, ასლებს ვაკეთებთ...

დადასტურდა სიტყვათშეთანხმება „იგნორირებას ვუკეთებთ“, რაც უმართებულოა:

„ვცდილობ, ყველაფერს **იგნორირება გაგუკეთო...**“ („სარკე“, N13. 2015).

გამართული ქართულით ვიტყვით: ვცდილობ, არაფერს არ მივაქციო ყურადღება.

„ქართველები **ქორეოგრაფიის გასაკეთებლად** მიგვიწვიეს“ (თბილისელები“, N32. 2015)...

ქორეოგრაფიას *დგამენ, ქმნიან* და არა – აკეთებენ.

სტილურად გაუმართავია შემდეგი წინადადებებიც:

„[მ. ხერგიანმა] საფრანგეთში... რეკორდული **ასვლები გააკეთა...**“ („სარკე“, N14. 2015);

„– თქვენს ფილმში ქალი მამაკაცს **უკეთებს წინადადებას...**“ [ხელს და გულს სთავაზობს] („სარკე“, N36. 2009);

„...მსოფლიოს ხალხთა ცეკვების ფესტივალი იყო და იქაც ვიმუშავეთ; ლიონშიც **გაგაკეთეთ** ცხენების **ჯირითი**“ (თბილისელები“, N32. 2015);

„ვფიქრობდით, როდესაც სერბეთის საფეხბურთო სეზონი დასრულდებოდა... **ქორწილი გაგვეკეთებინა**“ („სარკე“, N 30. 2017).

გასათვალისწინებია, რომ *ასვლებს აწყობენ; ხელს სთავაზობენ; ჯირითს მართავენ; ქორწილს იხდიან.*

**გაკეთება** ფორმა სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგება: ზმნად, შედგენილ შემასმენლად, საწყისად, მიმღობად.

ამ ერთმა სიტყვამ ენიდან უამრავი სიტყვა უმიზეზოდ, უმართებულოდ შეავიწროვა და მათი ადგილი დაიჭირა:

*ასვლა, აღება (სადავეებისა ხელში), გადაღება, გადარჩენა (თამაშისა), გადაფასება, გადაცემა, გადახდა, გამართვა, გამოძერწვა, გამოხმაურება, განცხადება, გახსნა, დადგმა, დაწერა, დახატვა, თქმა, ლაპარაკი, მიმართვა, მირთმევა, მიძღვნა, მიწოდება, მოთხოვნა, მო-*

*მზადება, მოწყობა, საუბარი, ქონა, შესრულება, შექმნა, ჩაგდება (სადავეებისა ხელში), ჩატარება, ჩვენება, ჩუქება, წაკითხვა, წარდგენა, წარმატებულად (თამაში), წარმოჩენა...*

ამგვარად შექმნილი შესიტყვებები ძირითადად მედიის ენისთვისაა დამახასიათებელი (შედარებით იშვიათად მხატვრულ ლიტერატურაშიც გვხვდება).

წინამდებარე სტატიაში განხილული იყო „აკეთებს“ და „მაგარი“ ფორმების უმართებულოდ გამოყენების შემთხვევები, რაც ყველაზე ხშირად მედიასა თუ ნათარგმნ ლიტერატურაში დასტურდება.

## ლიტერატურა

**ბურჭულაძე 2011** – მ. ბურჭულაძე, „ფრენა ყავარჯინებით“, თბილისი.

**ბურჭულაძე 2017** – მ. ბურჭულაძე, „უკანასკნელი პრეიერა“, თბილისი.

**„გზა“** – ჟურნ. „გზა“, N52. 2013; NN17, 22, 2014.

**ზურებიანი 2010** – ლ. ზურებიანი, თარგმ., ფ. ვარგასი, „წამოდექით მიცვალებულებო!“ თბილისი.

**„თბილისელები“** – ჟურნ. „თბილისელები“, N33. 2008; NN30, 36. 2009; NN2, 25, 26. 2010; NN3, 15, 25, 31, 33, 36, 51, 57. 2011; NN11, 15, 20, 23. 2012; NN11, 41, 49. 2013; NN1, 5, 32, 35, 39, 40, 42, 45, 46, 49. 2014; NN 13-15, 18, 20, 25, 27, 31, 32. 2015; N40. 2016. N19. 2017.

**„რეიტინგი“** – ჟურნ. „რეიტინგი“, N11. 2008; N46. 2014.

**„სარკე“** – ჟურნ. „სარკე“, N39. 2006; N27. 2007; NN22, 49. 2008; NN30, 36. 2009; NN1, 25-26. 2010; NN3, 11, 15, 25, 31, 33, 36, 38, 45, 51, 57, 2011; NN11, 28. 2012; NN9, 11, 34, 39. 2012; NN40, 41. 2013; NN1, 40-42, 44-46. 2014; NN5-7, 9, 11 13-15, 18-20, 27, 31, 32, 35, 37, 38, 39, 41, 47, 48, 51. 2015; NN1, 3, 14, 27, 31, 41, 45, 49. 2016; NN27, 29, 30. 2017.

**„სპორტსიახლენი“** – ჟურნ. „სპორტსიახლენი“, N34, 2007.

**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი** – ერთტომეული, თბ., 1986.

**უცხო სიტყვათა ლექსიკონი 1988** – Словарь Иностранных Слов, Москва. 1988.

**„ფენომენი“** – ჟურნ. „ფენომენი“, N6. 2014.

**„ცხოვრების წიგნი“**, თბ., 1993.

**ხაჩიძე ასათიანი 2011** – ც. ხაჩიძე, ჯ. ასათიანი, თარგმ. აგატა კრისტი, „სიკდვილი ღრუბლებში“, თბილისი.

**ჯაგოდნიშვილი 2009** – თ. ჯაგოდნიშვილი, ი. ჯაგოდნიშვილი, ვერბალური კომუნიკაციები, თბილისი.

Vakhtang Maghradze

## **Why Do We Impoverish Our Language?**

### Summary

A lexical composition is most easily changeable in a language. Old words fall out of a language while new words are created and established. New words exceed old ones. Thus, in this process a language vocabulary is enriched. A lexical composition changes continuously. The constant growth of industry and agriculture, trade and transport, technology and science requires a language vocabulary to be filled with new words and expressions that are necessary for them to function properly.

Some words change their meanings over time or sometimes they expand them that often leads to creating inappropriate syntagms, as if they gain new meanings but in fact they impoverish language at the expense of expelling and losing other words. The adjective **magari** “durable/strong/cool/solid” and the verbal form **gaketeba** “to do/to make” have recently expanded the areas of use. That’s why, in some widely used syntagms they became a kind of lexical stamps – lost their main functions and became a part of such syntagms where they are totally unacceptable. We think that overloading words with extra meanings is unjustifiable.